

საპრეზიუმო

თავისუფალი
მედიისთვის

საპრეზიუმო გაზეთი პარასკევი 8 აპრილი 2008 №182 (3406)

ფასი 50 თეთრი

დღეს მთელი მსოფლიო ჩიტის ბუდეში ჩაატარა

ჩვენი დროს პეკინში ფრიალებს



ძანა
ბერიძე
პეკინიდან
საგანგებოდ
„სარბიელისთვის“

ოთხშაბათს, გამთენიისას, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სეოკ-ის პრეზიდენტი გოგი თოფაძე, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკოლოზ ვაჩიშვილი, ძალისხმევა გუნდი ვანო გრიჭუროვის მეთაურობით, სეოკ-ის სპონსორები, მასპინძლის ორიოდ წარმომადგენელი, სულ 15-მდე კაცი შევიკრიბეთ და კიევის გავლით გეზი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქისკენ ავიღეთ. უკრაინის მთავარქალაქში საკმაო ხანი, 10 საათი მოგვიხდა ლოდინი და ამიტომაც იყო, ვანო გრიჭუროვმა შეგირდები აეროპორტის მახლობლად მდებარე სასტუმროში რომ წაიყვანა მოსასვენებლად — ბიჭები არ გადაიღალნონ და ზედმეტი ენერჯია არ დახარჯონო.

მზავრობისას გოგი თოფაძეს გავესაუბრე: „უფიქრობ, პეკინში ათენისაზე უკეთესი გუნდი გვეყოლება. ოლიმპიური კომიტეტის დევიზის გამართლება შეუსრულებელ მისიას სულაც არ წარმოადგენს. ძიუდოსა და ჭიდაობის სახეობებში მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე გუნდები გვყავს, ამას გარდა, კრივში და სხვა სახეობებშიც შეგვიძლია სურპრიზების შეთავაზება. იმედია, ფორტუნაც არ გაგვეწიარავს“.

კიევის აეროპორტში ადგილობრივი პრესა გადავთავალიერე და წააწყდი ინფორმაციას: „დერჟიტე ვაში სუმი“, სადაც ლაპარაკია ბოლო ხანს ბორისპოლის აეროპორტში მზავრობა ბარგის დაკარგვასა და ქურდობის შესახებ. კარგია, რომ ჩვენს კლასიკური სტილით მოჭიდავეებს სწორედ კიევში დაკარგული ბარგი 2 დღის შემდეგ, მაგრამ მაინც უვნებლად მიუვიდათ...“

ჯამში თითქმის 24-საათიანი მზავრობის შემდეგ გუმინ გამთენიისას პეკინში ჩავფრინდით. აუცილებელი სასაზღვრო ფორმალბებიც სწრაფად გავიარეთ და გეზი „ტაივან ოტელისკენ“ ავიღეთ. გზად მეტად საინტერესო სურათს გადავაწყდი. თბილისში ხშირად ვინახავთ დილის 6 საათზე სავარჯიშოდ მასობრივად გამოსული ხალხი? პეკინში ასეთ რამეს ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით...“

პეკინში აუტანელი სიცხეა. მართალია, ოფიციალურად 25 გრადუსს აცხადებენ, თუმცა

ამკარაა, რომ ტემპერატურა გაცილებით მაღალია. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ გუმინ მთელი დღე მზის სხივი არ გვინახავს, მაგრამ ისეთი ჩახუთულობა და უჰაერობაა, რომ კაცი პაპანაქება მზის გულზე ყოფნას ინატრებს.

„ჩვენ შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთეთ და ვეცადეთ, რომ ოლიმპიური სოფელი იდეალური ყოფილიყო, რათა სპორტსმენებს და ყველა აქ მყოფს თავი მაქსიმალურად კომფორტულად ეგრძნო. ეს ოლიმპიადა უნდა გახდეს ქვეყნებს შორის კიდევ უფრო დამეგობრების ერთ-ერთი საფუძველი, ოლიმპიურ სოფელს კი ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია“ — ეს სიტყვები გუმინ საღამოს ოლიმპიური სოფლის მერმა ჯინ ჩუანმა წარმოთქვა, როდესაც საქართველოს, რუმინეთის, გვინეის, სომალის და პოლონეთის ეროვნული დროშების აღმართვის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. სოფლის ცენტრში მოწყობილ ამფითეატრში გამართულმა პროცედურამ დაახლოებით 30 წუთს გასტანა. აფერდა ეროვნული ჰიმნებიც, მისიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს საჩუქრები გადასცეს. ჩვენი მისიის ხელმძღვანელმა ლერი ხაბელოვმა ოლიმპიური სოფლის მერს ქართული ხანჯალი და ახლახან გამოცემული „ქართული სპორტის ფოტოისტორია“ გადასცა.

გუმინ გვიან ღამით ჩამოფრინდნენ და დროშის აღმართვის ცერემონიალს ვერ დაესწრნენ ქართველი ძიუდოისტები, რომლებიც დაკვნით შეკრებას ყაზახეთში გადიოდნენ.

„ერთი სამყარო, ერთი ოცნება“ — ასეთია პეკინის ოლიმპიური თამაშების დევიზი და ბანერებს ამ წარწერით ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით, ოლიმპიადა კი დღეს, ადგილობრივი დროით საღამოს 8 საათზე გაიხსნება.

„ჩიტის ბუდე“ კი ის უიშვიათესი სიღამაზის სტადიონია, რომლის ირგვლივაც ათასობით ადამიანი ტრიალებს ბილეთის ძებნაში, თუმცა იშვიათად, რომ ვინმეს გაუმართლოს. ჩინელები რვიანს ბედნიერების მომენტს ციფრად მიიჩნევენ, დღეს კი, მოგეხსენებათ, 2008 წლის მერვე თვის რვა რიცხვია.

ორგანიზატორები გრანდიოზულ ცერემონიალს და დაუვიწყარ საღამოს გეპირდებიან, სინოპტიკოსები კი თავსხმა წვიმას ვარაუდობენ...

როგორც იცით, ჩვენი გუნდის მედროშე კლასიკური სტილით მოჭიდავე რამაზ ნოზაძე იქნება და აქვე დავამატებ, რომ საბერძნეთის დროშას ჯარჯი ზვიადური გამოიტანს.



მთავარი ტანხმობის ფოტოები



„როგორ უნდა გააკეთო გუნდი, როცა მეკარე არ გყავს“ — ხშირად გაიგონებთ გულშემოტივირებისგან და სპეციალისტებისგან, როცა საქართველოს ნაკრებზე საუბარი. უკვე რამდენი წელია, საქართველოს მეკარის პრობლემა აღესილი ნაჯახივით ადევს კისერზე — აი, დაახლოებით ჩვენი დონის ნაკრებებს, იგივე, ლიტვას, ლატვიას თუ ბელარუსს ორ-ორი კლა-

სიანი მეკარე ჰყავს, აქ კი არა და არ გამოდის. ვახსოვთ, როგორ ეტყობოდა გიორგი ლომაიას თურქეთთან, ლიტვასთან, საფრანგეთთან შარშანდელ მატჩებში, რომ კლუბში სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა? და გაისხენეთ უკლებლო ლომაიას სანაკრებო თამაშები შარშანდინ და შარშან იტალიასთან. რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი	
მეკარეები ბოლო 2 წელიწადში	
გიორგი ლომაია	10 მატჩი (-13 გოლი)
გიორგი მახარაძე	5 (-8)
გრიგოლ ზანდარიანი	3 (-6)
ნური რაზიშვილი	3 (-3)
გიორგი ლორია	2 (-3)
სულ	22 მატჩი (-33 გოლი)

5.5 ფეხბურთელი და ბატონის მეკარე

მეკარის თემა სპეციფიკურია: არ განხილდება დიდი ტურნირის გამარჯვებული კლუბი ან ნაკრები, რომელსაც ასე თუ ისე, სუსტი მეკარე ჰყოლოდა. ტყუილად როდი ამბობენ, კარგი მეკარე ნახევარი გუნდიაო. და რა გამოდის? საქართველოს ნაკრები ბოლო წლებში ნახევარი გუნდით თამაშობს, ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ, 5,5 ფეხბურთელით.

ვედრაში კარში და უფრო საინტერესო — ვის დაეყრდნობა ექტორ რაულ კუპერი შესარჩევი ციკლის საწყის მატჩებში? ნუკრი რევიშვილი ყაზანის „რუბინის“ დუბლებში თამაშობს და ხშირად ტრავმირდება, ბოლო წელიწადში საერთოდ აერია საქმე — ჯერ ტრავმები, მერე ავარია, მერე ისევ ტრავმები...

აზრით, ეროვნულ ნაკრებში უნდა იდგეს მეკარე, რომელსაც კლუბში სათამაშო პრაქტიკა აქვს. გეტყვიან, გრიგოლ ბელიაშვილი, როინ კვასხვაძე თუ რევაზ თევდორაძე დიდი მატჩებისთვის მზად არ არიანო. მაგრამ სხვა რა გზაა — საბანის გაწვდომის ამბავი ხომ იცით...

თითქოს ტრადიციად დაქვედრდა, ჩვენი ნაკრების კარში აყენებენ გოლიკებრს, რომელიც კლუბში არ თამაშობს. ცოტა უხერხული შედარებაა, მაგრამ ეს თითქმის იგივეა, სანადიროდ წაზვიდე და თოფი არ გქონდეს. როგორც დათვს და გარეულ ტახს ვერ დააფრთხობ უთოფოდ, ისე უთამაშებელი მეკარე ვერ დააფრთხობს თავდამსხმელს.

გიორგი ლომაია უკლებლოდა და ამით ყველაფერი ნათქვამია. გიორგი ლორია „დინამოში“ დიდ ივონოს კონკურენციას ვერ სძლებს. კაცმა რომ თქვას, ამას კონკურენცია არც ჰქვია — ოვონო ხელშეუხებელია.

ამ თემაზე თბილისის „დინამოს“ ყოფილ გოლკიპერს, 21-წლამდელთა ნაკრების მეკარეთა მწვრთნელ ოთარ გაბელიას ვესაუბრეთ. მართალია, ლეგენდარული „დინამოს“ 1 ნომერი ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობს, მაგრამ თავისი აზრის გამოთქმას არ მორიდებია.

ყველა სანაკრებო მატჩისას, როცა მეტოქე უტყვევს, დენთის კასრზე ვზივართ. ასე გეგონება, ჩვენების კართან ბურთის ნებისმიერი მოახლოება გოლით უნდა დამთავრდეს. რატომ არ გვყავს კარგი მეკარეები? ერთ-ერთი მიზეზი ეროვნული ჩემპიონატის უფერულობაა, ნაკლები დაძაბულობა, ნაკლები კარში დარტყმა და აფორიაქება. აბა, მიდი და, მხოლოდ ვარჯიშებზე გაზარდე მეკარე, როცა ასე თამაშიდან რვას ისე ამთავრებს, მეტოქე ერთხელაც რომ ვერ ურტყამს.

გიორგი მაკარიძე „დინამო-2“-ში ვარჯიშობს. გრიგოლ ჭანტურია „ხესტაფონის“ სათადარიგო მეკარეა, თანაც ნაკრებში საკმაოდ მისცეს შანსი და ვერ ითამაშა კარგად. ჩამოვთვალოთ ის ხუთი კაცი, რომლებიც ნაკრების ბოლო ორ წელიწადში ჩატარებულ მატჩებში იდგნენ. წარმოიდგინეთ, ხუთი კაცი და ხუთივე უთამაშებელი! განა შეიძლება, ეროვნული გუნდის კარი მეკარეს მხოლოდ იმიტომ ანდო, რომ ახალგაზრდაა და გოლიკებრისთვის კარგი აღნაგობა აქვს?

— ამბობთ, მეკარეების პრობლემა, მაგრამ სხვა რგოლებში აწყობილი გვაქვს საქმე? — აქეთ გვკითხა გაბელიამ. — კი, მაგრამ ამ შემთხვევაში მეკარეებზე მინდა შეგვეკითხოთ. თანაც, გოლიკებრის პრობლემა უფრო თვალსაჩინოა.


ამას ემატება ცუდი პირობები, საკარგი მინდვრების არქონა. უფრო ღრმად რომ განვიხილოთ, თვითონ მეკარის აღზრდის პროცესი — რამდენად მუშაობს თავის თავზე, როგორი მწვრთნელი ავარჯიშებს.

ეგებ შემოგედავონ, აბა, იკერ კასილიასი და ჯანლუიჯი ბუფონი 18 წლისანი რომ იყვნენ გრანდების ძირითადი მეკარეები... მაგრამ მათ გაამართლეს, აქ ჩამოთვლილი ქართველი ახალგაზრდებიდან კი ჯერ ერთმაც ვერ გაამართლა. ვინმეს ჰგონია, რომ კასილიასი „რეალში“ თამაშებს თუ ჩააგდებდა, მაინც დააყენებდნენ კარში?

— გეტანხმებით, რომ უფრო თვალსაჩინოა და მართლაც სერიოზული პრობლემა გვაქვს საქართველოში. მცველს, ნახევარმცველს თუ თავდამსხმელს იმდენად არ შეეცყობათ უთამაშებლობა, აი, მეკარეს კი ეგრევე შევამჩნევ. ამიტომ, ნაკრებში ისეთი მეკარე უნდა იდგეს, ვისაც კლუბში პრაქტიკა აქვს. არა მგონია, უკეთესი ვარიანტი იყოს.



გიორგი ლომაია, გრიგოლ ჭანტურია და ნუკრი რევიშვილი



ოთარ გაბელია

მურამ დოღვენიძის ფოტო

მიუმატებდი, მაგრამ ამ ბიჭს ეტყობა, რაღაც პრობლემები აქვს. ხან არის კლუბში, ხან არა.

მეკარეს შეცდომები ექნება, მაგრამ პირველივე შეცდომაზე წნეხში არ უნდა მოვაქციოთ.

— ლეგიონერი არ გვყავსო, თქვით. ნუკრი რევიშვილი?

— უცხოელი მეკარის ნატურალიზაციაზე რა აზრის ხართ? ეს ურთულესი პროცესია და ამ შესარჩევ ციკლში არც გამოვა, მაგრამ თქვენი აზრი გვინტერესებს...

— რევიშვილი ჩემთან იყო ქუთაისის „ტორპედოში“ და მასზე მარტო „ტორპედო“ კი არა, მთელი ქართული ფეხბურთი დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ყაზანის „რუბინის“ დუბლებშია. თან სულ პრობლემები აქვს სხვადასხვა სახის და ვერ თამაშობს ნუკრის „რუბინში“ გადასვლა ზუსტად ასახავს ქართველი ფეხბურთელების გზას: მოთამაშე უცხოეთში ფინანსური თვალსაზრისით კი არა, სათამაშოდ უნდა მიდიოდეს. კი, ბატონო, ფინანსები გასათვალისწინებელია...

— რატომ არ იზრდებიან საქართველოში კარგი მეკარეები?

— მთავარი მიზეზი საკარგი მინდვრების არქონაა. მეკარე ბეტონზე რომ გადახტება, რაზეა ლაპარაკი? მაინც იმედინად ვარ. რადგან ვფიქრობ, რომ ქართულ ფეხბურთში ჩაიდება ფული, ვაკეთდება მოედნები, ჩემპიონატი გაძლიერდება.

— მთავარი მიზეზი საკარგი მინდვრების არქონაა. მეკარე ბეტონზე რომ გადახტება, რაზეა ლაპარაკი? მაინც იმედინად ვარ. რადგან ვფიქრობ, რომ ქართულ ფეხბურთში ჩაიდება ფული, ვაკეთდება მოედნები, ჩემპიონატი გაძლიერდება.

— კეთილი კვასხვაძის ნაკრებში დაყენება რისკი არ არის? ის ხომ 18 წლისაა.

— ახლაც გვაქვს კარგი მასალა — ოლონდ, ფეხბურთელების სახით. მშვენიერი ახალგაზრდების თაობა მოდის, მათი და გამოცდილი ფეხბურთელების სინთეზით კარგი გუნდის გაკეთება შეიძლება. მწვრთნელიც მცოდნე და სახელიანი დაინიშნა და ენახოთ...

— რისკია, მაგრამ სხვა გზა არ ჩანს. ვინმე ხომ უნდა დადგეს კარში. ოლონდ, უნდა ვაცალოთ —

— კეთილი კვასხვაძის ნაკრებში დაყენება რისკი არ არის? ის ხომ 18 წლისაა.

— რისკია, მაგრამ სხვა გზა არ ჩანს. ვინმე ხომ უნდა დადგეს კარში. ოლონდ, უნდა ვაცალოთ —

— კეთილი კვასხვაძის ნაკრებში დაყენება რისკი არ არის? ის ხომ 18 წლისაა.

— რისკია, მაგრამ სხვა გზა არ ჩანს. ვინმე ხომ უნდა დადგეს კარში. ოლონდ, უნდა ვაცალოთ —

— კეთილი კვასხვაძის ნაკრებში დაყენება რისკი არ არის? ის ხომ 18 წლისაა.

ილია ნანოგაშვილი

უგოლო, მაგრამ მიმზიდველი



რით ფერდინანდი და ილევს დელ პიერო

„მანჩესტერ იუნაიტედი-სა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირება ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია და ოთხშაბათს „ოლდ ტრეფორდზე“. გამართული ამხანაგური მატჩიც საინტერესო გამოდგა, მიუხედავად უგოლოდ დასრულებისა.

რამდენიმე ფეხბურთელი ორივე გუნდს აკლდა. უნდა გამოვარჩიოთ, რომ „წითელი ემშაკუნები“ უეინ რუნის გარეშე იყვნენ, ტურინელები კი, პაველ ნედევედის.

საინტერესოა, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ საგრძობლად უკეთ ითამაშა. გუნდის ვეტერანი კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ჩინებულ

ფორმაში ყოფილა, მან რით ფერდინანდი და მანჩესტერელთა სხვა მცველები გააწაბა. „პინტურიკოს“ რამდენჯერმე გატანაც შეეძლო, მაგრამ არ გამოუვიდა. 70-ე წუთზე კი, როცა დავიდ ტრეზეგეთი შეცვალეს, ავტოგოგრაფებიც დაარიგა, „ოლდ ტრეფორდზე“ მას თბილად შეხვდნენ.

გამორჩეულნი მოჰამედ სისოკო, მაურო კამორანეზი, ჯორჯო კიელინი და „ბიანკონერის“ ახალწვეული ოლოფ მელბერგიც. „წითელი ემშაკუნებიდან“ ხაზი ახალგაზრდა დარონ ვიბსონის აქტიურობას უნდა გავუსვათ, ვინც მინდორზე მეორე ტაიმში შევიდა და კარგად ითამაშა.

„იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი კლაუდიო რანieri: „ინგლისურმა ტურნემ მშვენივრად ჩაიარა, სოლიდურად და კარგად გამოვიყურებოდით, როგორც „არსენალთან“, ასევე „მანჩესტერთან“. ყველაფრით კმაყოფილი ვარ, „ჰამბურთან“ მატჩის გრადა. ის შეხვედრა ერთი ბურთით რომ წაგვევო, არა უმადლა, მაგრამ 0:3 მეტისმეტი იყო. მართალია, ორი გოლი ბოლო წუთზე გაუშვეთ, მაგრამ მაინც. ახლა ერთი კვირა გვაქვს „არტმედისთან“ მატჩისთვის მოსამზადებლად და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მაქსიმალურად კარგ ფორმაში ვიყოთ“.

„ძალიან კამყოფილი და გახარებული ვარ მთლიანად გუნდისა და განსაკუთრებით დაცვის თამაშით. ყველამ კარგად ვითამაშეთ, ბევრს ვმობრძობდით და „მანჩესტერის“ დარ ძლიერ გუნდს სიერცე ფაქტობრივად არ დაუტოვებთ. ეს ყველაფერი „არტმედისთან“ შეხვედრის წინ კარგ განწყობას გვიქმნის“ — თქვა კიელინი.

„მანჩესტერის“ მცველი უესლი ბრაუნი: „იუვენტუსის“ კარგი გუნდა და ტურინელებთან თამაში ყოველთვის საინტერესოა. ვიცოდით, იოლი მატჩი რომ არ გველოდა. რამდენიმე ახალგაზრდა ითამაშა და ეს მათთვის დიდი გამოცდილება იყო. ახლა მთავარია, ფიზიკური კონდიციები გავიმჯობესოთ და „ნიუკასლთან“ პრემიერლიგის პირველ მატჩს სატანადო ფორმაში შევხვდეთ. უეინ რუნისა და მაიკლ კარის საქმეები კარგად არის, ისინი მალე შემოგვიერთდებიან და მჯერა, „ნიუკასლთანაც“ ითამაშებენ“.

გიორგი კახაბაძე

ანრიო ბავუპოზა ნახა



ტიერი ანრის ამერიკა და ნიუ იორკი რომ უყვარს, მაიკლ ჯორდანის ბრალია. „ბარსელონა“ ოკეანის გაღმა ტურნეში და ფრანგი ფორვარდის მოკლე ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა

— რას გრძობთ, როცა მწვრთნელი ასე გენდობათ?
— სასიამოვნოა, რომ ხოსეპ გვარდიოლას ჩემი იმედი აქვს, მაგრამ ახლა მთავარი მაინც ისეთი გუნდის შექმნაა, რომელიც მიზნისკენ თავდაჯერებული ივლის. სეზონისწინა შეკრებაზე კარგად ვიმშობეთ და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულია, ვიმედოვნებ — ამ სეზონში უკვილდოდ არ დავრჩებთ.

— პირადად თქვენი მიზანი?
— ძალიან მიდა, რომ ტრავმებმა ხელი არ შემიშალოს. მყესები ცოტა

მტკიავ, მაგრამ ეს ალბათ ცუდი სფარის ბრალია.

— ნიუ იორკი რატომ გიყვართ?
— ბავუპოზაში სულ ამ ქალაქში ჩამოსვლაზე ვოცნებობდი და ამერიკა და ნიუ იორკი ჩემს ფანტაზიებში წარმომედგინა. ეგებ ეს მაიკლ ჯორდანის ბრალია, მე ხომ კალათბურთი მიყვარს.

— ამ ქალაქში ყველაზე მეტად რა მოგწონთ?
— ყველაფერი. ეს ცათამბვნიები საუცხოოა. თავისუფლების ქანდაკება მინახავს, „ემპაირ სტეიტ ბილდინგი“ და „ტაუერები“. ასეთი შერობე-

ბი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

— ნიუ იორკს არასოდეს არ სძინავს.
— როცა აქ ხარ, ყოველთვის ნახავ რაღაც გასართობს ან რესტორანს. ამ ქალაქში ენითაუწერელი ატმოსფეროა და თავს მუდამ კარგად გგრძობ.

— კარიერის გაგრძელებას ამერიკაში ხომ არ აპირებთ?
— რატომაც არა, ამავრამ ახლა „ბარსასთან“ ერთად დიდი გეგმები მაქვს. ბევრი ჯილდო უნდა მოვიგო, მერე კი ამერიკაში თამაშზეც ვიფიქრებ.



კრიშტიანუ რონალდუ: დაპირები და ნახვალ

აქამდე დამუნჯებულმა კრიშტიანუ რონალდუმ ამოდერდა: „მანჩესტერში“ კიდევ ერთი წლით დავრჩები“.

ალბათ ამით დასრულდება ალექს ფერგიუსონსა და ფეხბურთელს შორის გაწეული კინკლაობა, რომელიც მადრიდის „რეალისგან“ რონალდუს ყიდვის მცდელობას მოჰყვა.

„მანჩესტერის“ მწვრთნელმა თქვა: „ჩვენ ვიცოდით, რომ ასეც იქნებოდა, რადგან რამდენიმე კვირის წინ ვიყავი პორტუგალიაში და კრიშტიანუსთან საქმე მოვაგვარე. იგი ზოგიერთ თანაგუნდელსაც ესაუბრა. „რეალისგან“ თავგზაბნულმა რთული პერიოდი გამოიარა, მაგრამ იცის ჩემი შეუპოვრობის ამბავი და დამიჯერა. ამ კვირაში ველით“.

ფეხბურთელმა კი ბრძანა: „სულ მცირე, კიდევ ერთი წლის განმავლობაში „მანჩესტერში“ ვითამაშებ. ფერგიუსონმა ჩემი მოსაზრება მოიმიანა, მე — მისი და შევთანხმდით, რომ ორივესთვის უკეთესი იქნება, თუ დავრჩები“.

„იუნაიტედის“ ფანები რონალდუზე აღრენილები იყვნენ მთელი ზაფხულის განმავლობაში და ზოგი ამბობდა, რაკი გული აიყარა ამ გუნდზე, გაუშვეთ, წავიდესო.

ახლა პრობლემა მოგვარებულია და პორტუგალიელი ქომბაგებს ჰპირდება, რომ მომავალ სეზონში კვლავაც თავდაუზოგავად იშრომებს.

„ამბობენ, თითქოს დარჩენას მაიბულებენ, მაგრამ ახლავე უნდა გან-

ვმარტო — ეს ტყულია. მთელი გულით და სულით ვითამაშებ „მანჩესტერისთვის“. ამ მაისურას კვლავაც დიდ პატივს ვცემ, ისევე, როგორც ადრე“.

„მანჩესტერი“ გაცოფებული იყო მადრიდის „რეალის“ თავხედობით, რომელიც კრიშტიანუ რონალდუს გადაბირებას რაგინდარა ხერხით ცდილობდა და პრემიერლიგის კლუბმა „რეალს“ ამის გამო ფიფამიც კი უჩივლა.

მაგრამ პორტუგალიელმა აღიარა, რომ მთელი ეს რიარია მისი ბრალია, რადგან თვითონ იწვედა მადრიდისკენ. რამონ კალდერონიც ამის გამო გაჯიუტდა და „მანჩესტერს“ აღარ ეშვებოდა.

რონალდუმ თქვა, რომ „რეალში“ თამაში კვლავაც სურს: „ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი ბრალია. კალდერონი დამნაშავე არაა, მე ვავამხილე საჯაროდ „რეალში“ გადასვლის სურვილი და ამბავიც ამით დაიწყო. ამიტომ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ვავიდე და „მანჩესტერში“ დარჩენით პრობლემა მოგვარდა.“

ვიცოდი, რომ „რეალს“ ჩემი ყიდვა უნდოდა და „მანჩესტერს“ თანხა კიდევ შესთავაზეს. მეც მსურდა, რომ კლუბი დათანხმებულიყო და „რეალში“ მეთამაშა. ტყუილს ვერ ვიტყვი, სწორედ ასე იყო და მომავალში კვლავაც ვაპირებ სამეფო კლუბში გადასვლას“.

გაზა ხუციფილი

კაჭკაჭი კოლორინი და კუდიანი სმიტი

„დეპორტივო“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ არგენტინელი მცველი ფაბრიციო კოლორინი „ნიუკასლს“ მიჰყვია.

„კაჭკაჭებმა“ ფეხბურთელში 11,5 მილიონი ევრო გადაიხადეს. ამ თანხის 15 პროცენტს არგენტინელი მიიღებს, თუ „ნიუკასლს“ კარგი სეზონი ექნება. კოლორინი სამედიცინო შეპოწმებას გაივლის და მერე კონტრაქტს გააფორმებს. მისი დებიუტი შაბათს „ვალენსიასთან“ ამხანაგურ მატჩში შედგება.

„დეპორტივოს“ მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა კი სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნდა, სადაც კოლორინის შემცვლელს ეძებდა. ლოტინამ ორი ფეხბურთელი შეიგულა — 27 წლის დიეგო კოლოტო „ატლასიდან“ და 23-ის ჯონათან ბოტინელი „სან ლორენსოდან“. პირველი 4 მილიონი ევრო ღირს, მეორე — ნახევარი მილიონით ნაკლები.

ფაბრიციო კოლორინოს ახალმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა კი განაცხადა, რომ ალან სმიტის გაყიდვას არ აპირებს. ფორვარდი ჰსე-სთან ამხანაგურ მატჩში არ ათამაშეს და ამას მოჰყვა ამბავი, „ევერტონში“ გადადისო.

„სმიტს“ ფეხი სტკიავ, არ გავრისკე და ჰსე-სთან დავასვენე. გული მიგრძნობდა, რომ პრესა კულებს გამოაბამდა, მაგრამ გარწმუნებთ — მას ტრავმა აქვს. თან სხვა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსი მივცე“.

გაზა ხუციფილი

დაბატებული სასჯელი



ლუჩანო მიჯი

კალჩიოსის სკანდალის აჩრდილი იტალიაში კვლავ დაძვინის. ამჟამად სასამართლოს ახალი ვერდიქტი გასდა ცნობილი, რომელმაც ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილ გენერალურ დირექტორ ლუჩანო

მოჯისა და მსაჯებს ახალი სასჯელი გამოუტანა. მოჯი მთელი ამ მაქინაციის მოთავედ მოიაზრება. მან მოიფიქრა მსაჯებთან შევიცარიული სიმ-ბარათებით კონტაქტი. ახლა იგი დამატებით 14-თვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

„მესინას“ ყოფილმა დირექტორმა მარიანო ანჯელო ფაბიანიმ ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. მსაჯები — ტიციანო პიერი, სალვატორე რაკალბუტო, სტეფანო კასარა, ანტონიო დატილო, პაოლო ბერტინი, მარკო გაბრიელე და მარჩელო ამბროზინო 18-თვიანი უქმობით დაისაჯნენ.

ექსარბიტრმა მასიმო დე სანტისმა ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია „დამისახურა“. აი, ჯანლუკა პაპარესტა კი სუფთად გამოძვინდა.

აქვე ვთქვათ, რომ „ლივორნოს“ ექსკაპიტან დავიდ ბალერის ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია შეუმცირეს. მისმა აპელაციამ გაჭრა და იგი მინდორს 30 სექტემბრის მერე დაუბრუნდება, ანუ მომავალი სეზონის პირველ თვეს გამოტოვებს და მერე, შეძლებს თავისი ახალი კლუბის, სერია C2-ის ბინადარი „კომოს“ დახმარებას.

შეგახსენებთ, რომ ბალერის გასულ სეზონში „ლივორნოსა“ და „ატალანტას“ მატჩების ჩაწყობის მცდელობა ედება ბრალად.

კობი კანდელაკი

მილანი ტრავმებზე ნაღვეს

იტალიურ „მილანში“ ტრავმების ეპიდემიაა. გარდა ამისა, ალუმანდრე პატო და რონალდინიო ოლიმპიადზე სათააშშოდ არიან წასულნი და რა გასაკვირია, რომ „როსონერი“ ამხანაგურ მატჩებში ცუდად გამოიყურება. მაგრამ „ჩელსისთან“ 0:5 მაინც ნამეტანი იყო და კლუბის დირექტორმა ადრიანო გალიანიმაც საგანგებო შეხვედრა მოაწყო მწვრთნელ კარლო ანჩელოტისთან, ვინც ყველაფერს ტრავმებს აბრალებს.

„რამდენიმე სერიოზული პრობლემა გვაქვს დაცვაში. სხვადასხვა მიზეზების გამო, ხალხი თავდასხმაშიც ვაკელია. ცოტა კიდევ უნდა დავიცადოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები“ — თქვა ანჩელოტი.

„მილანის“ ექიმი მასიმო მანარა: „ალესანდრო ნესტა თერაპიის კურსს წარმატებით გადის, ვნახოთ, უახლოესი დღეების განმავლობაში როგორ იქნება. ფილიპო ინსაგი დამატებით ტესტებს გაივლის და სპეციალური პროგრამით დაიწყებს რეაბილიტაციას. კაკამ უკვე დაიწყო მუხლის მოშუშება და ვნახოთ, რა მოხდება. რიკი თავს ბევრად უკეთ გრძობს და კვირის ბოლომდე




კარლო ანჩელოტი

ახალი ამბები გვეცოდინება. ემერსონის საქმეც კარგად მიდის. ამ ყველაფერს კალაძის მუხლის მცირე ტრავმა დაემატა, მაგრამ კახა თავს უკვე კარგად გრძობს და საგანგაშო არაფერია.“

„მოუხედავად იმისა, რომ პაოლო მალდინი 40 წლისაა და სერიოზული ტრავმა ჰქონდა, ჯერაც ძალიან

კობი კანდელაკი

ინტერმა სატრანსფერო ფანჯარა დასურა?



მასიმო მორატე

მილანის „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატემ განაცხადა, რომ კლუბი ალბათ აღარვის დაიმტკიცებს. თუ ვინმეს ვიყიდით, მხოლოდ მცველს. მან ფაქტობრივად გამოაცხადა რიკარდო კვარეზმას „ნერაძურისში“ გადასვლა და კიდევ ერთხელ ისაუბრა ფრენკ ლამპარდზე.

„არა მგონია, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე დავბრუნდეთ. ვფიქრობ, ჯოზე მურინიუს აღარავინ სჭირდება. ბრწყინვალე შემადგენლობა გვაყვს და ჩვენი ფეხბურთელების გვეჯერა. იმედა, ტრავმირებული მალე დაგვიბრუნდებიან. კვარეზმა? შეტევაში დიდი პოტენციალი გვაქვს და მისი ყიდვა ფაქტობრივად გამორიცხულია. თუ ვინმე გვჭირდება, ეს მცველია, რადგან დაცვაში გვაქვს პრობლემები. რაც შეეხება ლამპარდს, ერთი დიდი პრობლემა გვქონდა — ეს „ჩელსის“ ფეხბურთელია და მისი შექმნა ძალიან რთული იყო. პატეისციტით ვეკიდებოდით მის პოზიციასაც და ლონდონელებისასაც. ფრენკისთვის გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ გასლდათ. თავიდან ვფიქრობდით, მისი ყიდვის კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ მერე გავიაზრეთ, რომ ეს თითქმის შეუძლებელი იყო და ამაზე ექვსი თვის დახარჯვას სულეი ალი მუნტარის შექმნა გამოვლობით, რითაც კმაყოფილი ვარ, რადგან იგი ჯერჯერობით ჩინებულად ირჯება“ — თქვა მორატემ.

გიორგი კახაბაძე

ბენ სპარი პირითადისთვის იბრძობებს

ლონდონის „ჩელსის“ ებრაელი თავდამსხმელი ბენ სპარი, რომელიც „პორტსმუთში“ განათხოვრებული, მზადაა, „პომპეის“ ფორვარდებს, კრაუნსა და დეფოს კონკურენცია გაუწიოს.

„ბედნიერი ვარ, რომ ისეთ სერიოზულ კლუბში გამოვდივარ, როგორც „პორტსმუთი“. ასე გამოვიდა, რომ „პორტსმუთის“ შემადგენლობაში პირველი მატჩი „უემბლიზე“, ინგლისის სუპერთასზე, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ მიწვევს, რაც ჩემთვის ორმაგი სტიმულია, ამ დღეს, 10 აგვისტოს, ჩემი დაბადების დღეც არის“ — განაცხადა ებრაელმა ფეხბურთელმა.

მოდრიის მუხლი დაუფავდა
„ტოტენჰამ კოთსაუზის“ ხორვატმა ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა მუხლის ტრავმა მიიღო.

„შესაძლოა, ტრავმამ ლუკას ინგლისის ჩემპიონატის სტარტი გამოატოვებინოს. ჩვენ სიტუაციას ვაკვირდებით. ხორვატიას წინ ამხანაგური შეხვედრა აქვს სლოვენისთან, ხოლო სექტემბერში — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ყაზახეთსა და ინგლისთან. მოდრიჩის ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ მტკივნეულია“ — აღნიშნა ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის სლავენ ბილიჩის ასისტენტმა ალიოშა ასანოვიჩმა.

ანანა და როზერსი
„ბლემბერნ როზერსი“ განის ნაკრების ფეხბურთელის — ენტონი ანანას შექმნას აპირებს.

„მობარული ვარ, რომ პოლ ინსთან მუშაობის შესაძლებლობა მომეცება. ყველამ ვიცით, ეს ადამიანი როგორი შესანიშნავი მოთამაშე იყო. მისგან ბევრი რამის სწავლას შევძლებ“ — თქვა ანანამ, რომელიც უკვე ჩამოვიდა ინგლისში „როველსთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად.

პასკალი და ენდრიუ ფულეზი
ლონდონის „ფულემმა“ შვეიცარიელი გოლკიბერი პასკალი ცუბერბიული დაიმტკიცა. ხელშეკრულება ერთწლიანია. „ვიცი, რომ გასული სეზონი გუნდისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა. იმედა, ამ სეზონში უკეთესად გამოვალთ“ — განაცხადა შვეიცარიის ნაკრების კიბერმა.

ამავე დროს, „კოტვეჯელბმა“ ოფიციალურად გაიფორმეს ენდრიუ ჯონსონი. ინგლისის ნაკრების ფორვარდმა ლონდონელებთან ოთხწლიანი ხელშეკრულება დადო, ტრანსფერის ღირებულება კი 10,5 მილიონი გირვანქაა.

ბეტიშა ხუანა დაიმატა
სევილიის „ბეტისმა“ „ლევანტედან“ ნახევარმცველი ხუანა გადმოიყვანა. 27 წლის ფეხბურთელმა ანდალუსელებთან კონტრაქტი 2012 წლამდე გააფორმა, სევილიელებს კი მისი ტრანსფერი 1,5 მილიონი ევრო დაუჯდათ. ხუანამ ამ ზაფხულს „ბეტისის“ მესამე შენაძენია ახილ ემანასა და მეჭმეთ აურელიოს შემდეგ.

ბარსა პროსასს შეეღიბა
მსაპანური „ბარსელონა“ თავისი ნახევარმცველის, მარკ კროსასის „სელტიკში“ გაშვებას დათანხმდა. შოტლანდიურმა კლუბმა კატალიონელებს 500 ათასი ევრო გადაუხადა და კიდევ 900 ათასს დაამატებს, თუ კროსასი „სელტიკის“ შემადგენლობაში წარმატებით ითამაშებს. გასული სეზონი ახალგაზრდა ფეხბურთელმა „ლიონში“ იჯარით გაატარა.

ქველმოქმედი კივუ
რუმინეთის ნაკრების კაპიტანმა კრისტიან კივუმ თავის სამშობლოში წყალდიდობით დაზარალებულთა დასახმარებლად 5 ათასი ევრო გაიღო. მილანის „ინტერის“ ფეხბურთელმა ეს თანხა თავისი საქველმოქმედო ფონდის — „ფეხბურთი და ბავშვები“ — საშუალებით გაზაფხუა დანიშნულების ადგილზე.

ფარბისთვის კვირუმი უწყველია
„მანჩესტერ იუნაიტედის“ დამრიგებელი ალექს ფერგუსონი იმელონებს, რომ სექტემბერში თავისი თანაშემწის სახელი უკვე ეცოდინება.

„ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბდით, თუ ვინ დაიკავებს კარლუმ კეირუმის ადგილს. კარგი სპეციალისტისა და პიროვნებისთვის შემცველის მოძებნა ყოველთვის რთულია“ — განაცხადა „წითელი ეშმაკუნების“ თავკაცმა.

კუიტი ბერის ბაგო იჩაბრება
ინგლისური „ლივერპულის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გარეთ ბერის შესაძენად დამატებით თანხა გამოეყოს. ამისთვის კი მერსისაიდელები მზად არიან, თავდამსხმელ დირკ კუიტს შეელონ, რომელსაც 16 მილიონ გირვანქად აფასებენ, თუმცა ამ თანხამ ჰოლანდიელის პოტენციური მყიდველი, ბუნდესლიგის „ჰამბურგი“ შეაშინა და გერმანელებმა კუიტის შექმნაზე უარი განაცხადეს.

არჩილ კობახიძე



ვიო ახვლედიანი

სვეტი

დღეის ჰეპტონი

დღეს იწყება პეკინის ოლიმპიადა. ამბობენ, იქ ბუმი და პუტინიც შეხვდებიან ერთმანეთს. მე მასსოვს მოსკოვის ოლიმპიადის წინ როგორ გამოვიდა ტელევიზორში საფრანგეთის კომპარტიის ლიდერი ჟორჟ მარშე და გარემოს უქმნიდა მოსკოვის ოლიმპიადას, სადაც ბევრი ჩამოსული არა სახელმწიფო დროით, არამედ ოლიმპიური კომიტეტების აღმით გამოდიოდა. ამერიკა საერთოდ არ იყო, სხვებიც.

ახლა სხვა დროა, ადამიანის უფლებების და მთელი ამბავი კი კვლავაც არსებობს, მაგრამ, კობი ბრაიანტი მაინც განდება ოლიმპიური ჩემპიონი.

პოლიტიკა ძალიან ეხვევა ოლიმპიადას და საერთოდ ოლიმპიადებს.

შეგვჭამა ამ პოლიტიკამ, ზოგადად და კერძოდ. გასნის შოუ შთამბეჭდავი იქნება, არც ტერაქტები მოეწყობა. ტიბეტელები არ არიან ტერორის ხალხი.

საქართველო კი გამოელის ოლიმპიადიდან ოქროს მედლებს. სასურველია, ორს, ეგებ სამს. რა თქმა უნდა, საჭიდაო სახეობებში. პრემიები უზარმაზარია — ოლიმპიადის მომგები ცხოვრებას მოიწყობს. არც ეს არის გასაკვირი — უამრავ ქვეყანაში ასეა.

მე კიდევ რატომღაც სულ ვფიქრობ, რა არის ოლიმპიადა?

აი, რას გულისხმობს? გასაკვება, რომ სპორტში ყოველივე კარგის წარმოჩენას და უკვდავყოფას. მაგრამ ამას იქით რა არის?

ამხელა სამყარო იქნება ოთხ წელიწადს და მერე ქრება. ისევ ოთხი წლით. რჩება უკვდავი კადრები — პიეტრო მენეას ცისკენ აღმართული თითი და სხვები. რჩება სახელები, ტიტულები და ასე დაუსრულებლად. მაგრამ ადგილი და სამყარო კი ქრება.

ამ ლირიკას რომ მოვეშვათ, ოლიმპიადა იმგვარი ადგილია, რომ რიგ სპორტებს უარყოფს და რიგ სპორტებში მსოფლიოს უძლიერესს ვერაფრით ავლენს. ეს შეუძლებელია. ვერაფერ იტყვის, რატომაა ოლიმპიადაზე სოფტბოლი და არაა, ვთქვათ, კრიკეტი, ანდა გოლფი. ისიც შეუძლებელია, რომ ოლიმპიადამ ყველა სპორტს მოუყაროს თავი.

მოკლედ, სრულყოფილება არ არსებობს და ვერც გამოედევნები. მკონი, ზოგადად, სამყაროსთვის, ოლიმპიადას ერთადერთი დანიშნულება აქვს, რომ მილიონობით ადამიანში დადებითი ემოცია გამოიწვიოს, მთლიანობაში ვგულისხმობ.

ოლიმპიადაზე ყველა თავისი ანგარიშით და გეგმით მიდის. დიდი ოლიმპიური ქვეყნები ოქროებში ეჯიბრებიან ერთმანეთს, პატარები თავიანთი ერთი ოქროს მოპოვებას ცდილობენ, არის ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც დიდნიც არიან, სპორტულნიც და ოქროს კი ვერაფრით იგებენ, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

მთავარი მონაწილეობაა, ისეთივე მკვდარი ლოზუნგია, როგორი განსვენებულიცაა სამოყვარულო სპორტი.

მე ოლიმპიურ ამბავში კრივი და კალათბურთი მიყვარდა. კალათბურთი ბარსელონადაც მოყოლებული ცოტა რთული აღსაქმელია, როგორც შეჯიბრი, კრივი კი, ჰა, სანამ კუბაში სოციალისტური რეჟიმი არსებობს, მაინც ძალიან კარგი საცქერია, ეს არის, რომ ქულები ცოტა არ იყოს, ფრენბურთით იწერება ეკრანის კუთხეში.

ვუყუროთ, კარგი იქნება. მაგრამ ეს ბუმი და პუტინი რაღა შუაშია, ვერ გავიგე.

ქართული მამულის ისტორია ბიორბი კატოივს დაბრუნება უნდა



გვეზია ბოჭორიშვილი



გიორგი კატოივი და გიორგი ბოჭორიშვილი

სადარ კატიოვის ფოტო

რამდენიმე დღის წინ „სარბელში“ დოპინგსკანდალზე მასალა გამოქვეყნდა, სადაც რუს ოლიმპიელებზე მძლეოსნობაში სახელიანთა მარაქში გარეულ გოგონებზე გვეწერა. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ რუსი მძლეოსნები დოპინგის მიღებისთვის პეკინის ოლიმპიადას ჩამოაშორა... იმ პერიოდშივე დოპინგის სკანდალში გახვეული სპორტსმენების გაფართოებულ სიაში რუსეთის სახელით მოჭიდავე გიორგი კატოივის გვარამაც გაიფურა და ჩვენც ეს ამბავი დავწერეთ, ოღონდ მასალაში ავლნიშნეთ, რომ ეს დადასტურებული ფაქტი კი არა, რუსთა გამოთქმული ვარაუდი იყო და ინფორმაციის უტყუარობაზე თავს არ ვდებდით... გუშინ გიორგი კატოივის ნათესავი და ჭიდაობის მწვრთნელი **ვეზია ბოჭორიშვილი** რედაქციაში გვეწვია და აღმოთხულებულმა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება გვთხოვა...

— გიორგი და მისი მამა ლაშა ქეთიშვილი ჩემს ხელში გაიზარდნენ და არავინ დაიჯეროს, რომ ასეთ რამეს გააკეთებენ. გიორგიმ ყველაფერს თავისი შრომით და მონღოლებით მიადწია, თავის წონაში უძლიერესია და ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს. გიორგის საქართველოდან წასვლა სულაც

არ უნდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ასე მოხდა. მისი მჯერა და თვითონაც მითხრა, რომ თუ დასჭირდა, ოლიმპიადას ცალი ხელით მოიგებს. გიორგის ყველა ტიტული აქვს მოპოვებული, გარდა ოლიმპიური ჩემპიონობისა და ახლა პეკინში მისი მიზანი მხოლოდ პირველი ადგილი იქნება. რაც ყველაზე მთავარია, გიორგის გულით უნდა საქართველოში დაბრუნება და ჩვენი ქვეყნის სახელით გამოსვლა. თუ აქედანაც იქნება შესაბამისი დაინტერესება, ის აუცილებლად ჩამოვა და ლონდონის ოლიმპიადას საქართველოს სახელით იჭიდავებს.

— კი, მაგრამ ეს ადგილი არ იქნება, რუსეთის ჭიდაობაზე ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციაში საჩივარს შეიტანს და დისკვალიფიკაცია არ ასცდება...

— ვიცით, მაგრამ ამისთვისაც მზად ვართ. ოლიმპიადის შემდეგ ისედაც აპირებს ერთი წლით დასვენებას. წონის პრობლემა აქვს, მუდმივად 7-8 კილოს დაკლება უწევს. ასე რომ, ერთი წლით აიწევს. მოკლედ, მზადაა, რომ პეკინის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოს სახელით იჭიდაოს.

ნიკა კობაკი

ნოვაკოვიჩი

უაფათაჟა გაითიჟა, ლაბაკი დანყვილდა



სოფო შაფათაჟა

სოფო შაფათაჟის ფოტო

ირაკლი ლაბაკიმ, ვინც უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში საჩოგბურთო ტურნირს თამაშობს, ერთეულთა შორის ჩოგნის დაშვების შემდეგ ძალები წყვილებში მოსინჯა რუს ღენის მაცუკევიჩთან ერთად მეოთხედფინალშიც გავიდა.

მერვედფინალში ლაბაკი-მაცუკევიჩის დუეტმა უზბეკი ბიკტიაკოვისა და კორეელი ნამის წყვილს 6:4, 4:6, 10:5 მოუგო. მომდევნო წრეში ამათი მეტოქე მე-4 ნომრად განთესილ ვევიბტელ მამუნსა და სერბ ბორადოვიჩის დაუპირისპირდება.

ამასობაში მოსკოვის საჩოგბურთო ტურნირზე სოფო შაფათაჟა დამარცხდა. ის მე-3 ნომრემა მასპინძელმა ეკატერინა ბიკოვამ პირველივე წრიდან გამოთიშა გათამაშებას — 6:2; 6:3.

მოსკოვის ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია.

ლემსო მინსრაძე

ქალბაძე

ფანსულაია და გელაუვილა საქმე დათმეს

თურქეთის დედაქალაქში მიმდინარე მოჭადრაკეთა ტურნირზე, სადაც ჩვენებური ლევან ფანცულაია ლიდერთა შორის იყო, მე-8 ტურის მერე პოზიციების დათმობა მოუხდა, რაკი მასპინძელ სუატ ატალიკთან წააგო და ერთპიროვნულად გალიდერების შანსი მისცა.

ფანცულაია ახლა 6-5 ქულით მე-6 ადგილზეა. მე-5-ზეა მერაბ გაგუნაშვილი, მე-11 ვალერიან გაფრინდაშვილია, მე-14 — თამარ წერეთელი. სხვა ქართველები ლიდერებს დიდი სხვაობით ჩამორჩებიან, ტურნირის დამთავრებამდე მოჭადრაკეები თითო პარტიას კიდევ ითამაშებენ.

თურქეთის მსგავსად არც საბერძნეთის ქალაქ კავლიდან მოვიდა კარგი ამბავი: თამაზ გელაშვილმა, ვინც ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა, რუს ნიკოლაი ჩადაევთან ყაიმი ვაახურხა და ლიდერებს, ბერძენ ჰალკიასის და გერმანელ გუარუს ერთი ქულით გასწრების საშუალება მისცა. ბოლო ტურის წინ გელაშვილს 5-5 ქულა მოუგროვდა: 5 ქულა კი ხუთ ქართველს აქვს; დავით მაღალაშვილი 30-ე ადგილზეა, მალხაზ სულაშვილი 34-ზე, გიორგი მარგველაშვილი, 39-ზე, სალომე მელია 49-ზე, ხოლო ნანა ძაგნიძე 46-ზე.

ლემსო მინსრაძე



ქართველები პეკინში: ვინ როდის?

9 აგვისტო

კიულო		
ნესტორ ხერგიანი (60კგ)	ნინასნარი (12:00), ფინალი (18:00)	
პლაჟის ფრენებით		
გეორ-გია	ჯგუფური ეტაპი (10:00)	
საქა-რთველო	ჯგუფური ეტაპი (16:00)	
სპორტული ტანვარჯიში		
ილია გიორგაძე	თავისუფალი, ტაიჭი	კვალიფიკაცია (12:00)

10 აგვისტო

კიულო		
ზაზა კედელაშვილი (66კგ)	ნინასნარი (12:00), ფინალი (18:00)	
პრივი		
კახაბერ ჟვანია (69კგ)	ნინასნარი (15:00)	
ტყვიის სროლა		
ნინო სალუქვაძე	პნევმატური (10 მ)	კვალიფიკაცია, ფინალი (9:00)
ცურვა		
ირაკლი რევიშვილი	200 მ. თავისუფალი	კვალიფიკაცია (18:30)
ანა სალნიკოვა	100 მ. ბრასი	კვალიფიკაცია (18:30)

11 აგვისტო

კიულო		
დავით ქვეციშვილი (73კგ)	ნინასნარი (12:00), ფინალი (18:00)	
ცურვა		
ირაკლი რევიშვილი	200 მ. თავისუფალი	ნახევარფინალი (10:00)
ანა სალნიკოვა	100 მ. ბრასი	ნახევარფინალი (10:00)
პლაჟის ფრენებით		
გეორ-გია	ჯგუფური ეტაპი (9:00)	
საქა-რთველო	ჯგუფური ეტაპი (15:00)	

12 აგვისტო

კიულო		
საბა გავაშელიშვილი (81კგ)	ნინასნარი (12:00), ფინალი (18:00)	
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა		
ლაშა გოგიტაძე (55კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
დავით ბედინაძე (60კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
მუშილიონობა		
ქრისტინე ესებუა	1/32 ფინალი (10:00), 1/16 ფინალი (15:30)	
ხათუნა ნარიმანიძე	1/32 ფინალი (10:00), 1/16 ფინალი (15:30)	
ცურვა		
ირაკლი რევიშვილი	200 მ. თავისუფალი	ფინალი (10:00)
ანა სალნიკოვა	100 მ. ბრასი	ფინალი (10:00)

13 აგვისტო

კიულო		
ირაკლი ცირეკიძე (90კგ)	ნინასნარი (12:00), ფინალი (18:00)	
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა		
მანუჩარ კვიციანი (74კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
ტყვიის სროლა		
ნინო სალუქვაძე	სპორტული (25 მ)	კვალიფიკაცია, ფინალი (9:00)
პლაჟის ფრენებით		
გეორ-გია	ჯგუფური ეტაპი (10:00)	
საქა-რთველო	ჯგუფური ეტაპი (6:00)	

14 აგვისტო


კიულო		
ლომერ ჟორჯოლიანი (100კგ)	ნინასნარი (12:00), ფინალი (18:00)	
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა		
ბადრი ხასაია (84კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
რამაზ ნოზაძე (96კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
პრივი		
კახაბერ ჟვანია (69კგ)	ნინასნარი (13:30)	
მუშილიონობა		
ქრისტინე ესებუა	1/8 ფინალი - ფინალი (10:30)	
ხათუნა ნარიმანიძე	1/8 ფინალი - ფინალი (10:30)	

15 აგვისტო

კიულო		
ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე)	ნინასნარი (12:00), ფინალი (18:00)	
კალოსნობა		
რაულ ცირეკიძე (85კგ)	კვალიფიკაცია (10:00), ფინალი (19:00)	
პლაჟის ფრენებით		
გეორ-გია	1/16 ფინალი (9:00)	
საქა-რთველო	1/16 ფინალი (18:00)	

16 აგვისტო

ბატუტზე სტოპა		
ლუბა გოლოვინა	კვალიფიკაცია (11:00)	
მალეოსნობა		
მარიამ ქვეციშვილი	ბირთვი	კვალიფიკაცია (9:00), ფინალი (19:00)



ნესტორ ხერგიანს ოლიმპიადის პირველივე დღე სამედლო აქვს

გადარი ქართულაშვილ ფოტო

17 აგვისტო

კალოსნობა		
არსენ კასაბიევი (94კგ)	კვალიფიკაცია (15:30), ფინალი (19:00)	
პრივი		
კახაბერ ჟვანია (69კგ)	მეთხედფინალი (20:00)	
სპორტული ტანვარჯიში		
ილია გიორგაძე	თავისუფალი, ტაიჭი	ფინალი (18:00)

18 აგვისტო

კალოსნობა		
ალბერტ კუზილოვი (105კგ)	კვალიფიკაცია (15:30), ფინალი (19:00)	
ბატუტზე სტოპა		
ლუბა გოლოვინა	ფინალი (20:25)	
მალეოსნობა		
დავით ილარიანი	110 მ. თარჯრბენი	1 წრე (11:10)
პლაჟის ფრენებით		
გეორ-გია	მეთხედფინალი (10:00)	
საქა-რთველო	მეთხედფინალი (20:00)	

19 აგვისტო

თავისუფალი ჭიდაობა		
ბესარიონ გუჩაშვილი (55კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
მალეოსნობა		
დავით ილარიანი	110 მ. თარჯრბენი	11 წრე (20:45)

20 აგვისტო

თავისუფალი ჭიდაობა		
ოთარ თუშიშვილი (66კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
გელა სალირაშვილი (74კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
მალეოსნობა		
დავით ილარიანი	110 მ. თარჯრბენი	ნახევარფინალი (21:30)
პლაჟის ფრენებით		
გეორ-გია	ნახევარფინალი (9:00)	
საქა-რთველო	ნახევარფინალი (9:00)	

21 აგვისტო

თავისუფალი ჭიდაობა		
რევაზ მინდორაშვილი (84კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
გიორგი გოგუშელიძე (96კგ)	ნინასნარი (9:30), ფინალი (16:00)	
მალეოსნობა		
დავით ილარიანი	110 მ. თარჯრბენი	ფინალი (21:35)

22 აგვისტო

პრივი		
კახაბერ ჟვანია (69კგ)	ნახევარფინალი (20:00)	
ნიკოლოზ იზორია (57კგ)	ნახევარფინალი (14:00)	
პლაჟის ფრენებით		
გეორ-გია	ფინალი (9:00)	
საქა-რთველო	ფინალი (9:00)	

23 აგვისტო

პრივი		
ნიკოლოზ იზორია (57კგ)	ფინალი (19:35)	

24 აგვისტო

პრივი		
კახაბერ ჟვანია (69კგ)	ფინალი (15:15)	

შენიშვნა: პლაჟის ფრენებით 1/16 ფინალები 15 და 16 აგვისტოს გაიმართება. რომელ დღეს ითამაშებენ ქართველები, მოგვიანებით დაზუსტდება

პეკინის ოლიმპიური თამაშების პროგრამა. 8-24 აგვისტო

	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	სულ
	პარ	შაბ	კვ	ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ	
განხილვა და დახურვა																		
მუხილდოსნობა			1	1			1	1										4
მკლავოსნობა								2	4	6	6	5	3	6	7	7	1	47
ბადმინტონი								1	2	2								5
ბეისბოლი																1		1
კალათბურთი																1	1	2
ვლახის ფრენბურთი														1	1			2
ფრენბურთი																1	1	2
კრივი																5	6	11
ბაიძარა კანოე															6	6		12
საწყლოსნო სლალომი					2		2											4
საბთო ველორბოლა															1	1		2
ველორბოლა – ტრაიკი, უოსე		1	1			2		1	3	1	2	3						14
ველოსპორტი BMX														2				2
წყალში სტოვა			1	1	1	1				1		1		1		1		8
სხენოსნობა					2		1				1	1	1					6
ფარიკაობა		1	1	1	1	2	1	1	1	1								10
ფხეზბურთი														1		1		2
ტანვარჯიში					1	1	1	1		4	3	3						14
მხატვრული ტანვარჯიში																1	1	2
ბატუბი											1	1						2
ხელბურთი																1	1	2
ბალახის პოკეი															1	1		2
ქიუდო		2	2	2	2	2	2	2										14
ხუთჭიდი														1	1			2
ნიჩოსნობა									7	7								14
აფროსნობა									2	1	2	2	2	2				11
სროლა		2	2	2	2	1	2	1	2	1								15
სოფტბოლი														1				1
ცურვა			4	4	4	4	4	4	4	4			1	1				34
სინქრონული ცურვა													1			1		2
წყალბურთი														1			1	2
ჩოგბურთი									2	2								4
მეხობის ჩოგბურთი										1	1				1	1		4
ტრიატლონი											1	1						2
ტაეკვანდო													2	2	2	2		8
კალოსნობა		1	2	2	2	2		2	1	1	1	1						15
თავისუფალი ჭიდაობა									2	2		2	2	3				11
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა					2	2	3											7
სულ	-	7	14	13	19	17	17	16	30	34	18	21	11	22	21	30	12	302



პოლივუდმა პეკინი გაასაიდუმლოვა ჩინეთის ელჩი სახალხო თაბაშს თაბაშობს

გულით და სულით გისურვებთ, რომ პეკინში ბლომად მედლები აიღოთ. ჩემს ქვეყანასთან ერთად ქართველებსაც ძმურად გქონდეთ — გუშინ ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა საქართველოში ჩინეთის ელჩი ვან კაივენი, რომელსაც საინტერვიუოდ ვესტუმრეთ. დღეს პეკინის ოლიმპიადა ოფიციალურად გაიხსნება და ვან კაივენთან ინტერვიუ ორმაგად საინტერესო უნდა იყოს. მით უმეტეს, ჩინელი ელჩი სასიამოვნო რესპოდენტი აღმოჩნდა...



ბებს ვერ გავამართლებ. ყველანი შევთანხმდით, რომ ოლიმპიურ თამაშებს არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან და ოლიმპიურ მოძრაობის ეთიკისგან და სულისგან გამომდინარე, ასეთი ინციდენტები არ უნდა ხდებოდეს. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაგვამსგავსი გამოხატომები, როგორც ოლიმპიური ჩირაღდნის ჩაქრობაა. დარწმუნებული ვარ, ოლიმპიადის მსვლელობისას ინციდენტები არ მოხდება, რადგან ჩვენი სამართალდამცველები და ევრეთ წოდებული „სექურითები“ საგანგებოდ მოამზადეს. თანაც II სექტემბრის ცნობილი ტერაქტის შემდეგ ტერორიზმმა, ასე ვთქვათ, ფრთები გაშალა და ამ მხრივაც უსაფრთხოების დაცვის მაქსიმალური ზომები იქნება მიღებული. ერთი სიტყვით, მთელი ჩინეთი მზადაა, რომ ოლიმპიადამ უსიამოვნო ხმაურის გარეშე ჩაიაროს.

— ამბობენ, რომ პეკინის ოლიმპიადა ყველაზე გრანდიოზული იქნება, რაც აქამდე გამართულა...
 — წინასწარ ძნელია რაიმის მტკიცება. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენთან ძალიან ბევრი იშრომეს, უდიდესი სამუშაო ჩატარეს, ყველა საორგანიზაციო საკითხი უმაღლეს დონეზე მოაგვარეს, რომ პეკინის ოლიმპიადა აქამდე გამართული ოლიმპიადებისგან განსხვავებით, ყველაზე ხმაურიანი, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით და გრანდიოზული გამოვიდეს.
 — როგორც ვიცით, გახსნის შოუსთვის პოლივუდის რეჟისორებიც დაიქირავეს და შოუს მთავარი ნაწილი გასაიდუმლოებულია...
 — დიახ, ასეა... მეც არ ვიცი შოუს მნიშვნელოვანი დეტალები. ეგ კი არა, თვითონ პეკინში, საორგანიზაციო განყოფილებაში მხოლოდ ათმა კაცმა თუ იცის, რა და როგორ იქნება. ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გასაიდუმლოებულია და ვერ გეტყვით შოუს სცენარს, მეც არ ვიცი. გასაიდუმლოებულია ოლიმპიური ცეცხლის ანთების მომენტი, შოუს რამდენიმე ნაწილი... ასევე ჯერ არც ის თქმულა, ვინ იქნება ჩვენი მედროშე. ათენში მედროშე კალათბურთელი იყო მინი იყო... საერთოდ ახლა ისეთი ტენდენციაა, რომ დელეგაციების უმეტესობა ლამაზმანებს ანიჭებს უპირატესობას და მედროშედ უფრო გოგონებს ირჩევენ. ჩვენს შემთხვევაშიც ალბათ ასე იქნება, მაგრამ მართლა არ ვიცი კანდიდატის ვინაობა.
 — როგორც ვიცით, იაო მინი ჩინეთში სახალხო სპორტსმენად ითვლება და, ცხადია, ძალიან პოპულარულიც არის...
 — იაო მინი მართლაც ძალიან პოპულარულია, მაგრამ ჩვენ გვყავს კიდევ ერთი სპორტსმენი, 110 მეტრზე თარჯნბრენში მსოფლიოს ჩემპიონი და ექსტრემორდსმენი ლიუ სიანი, რომელიც ჩინეთში ძალიან უყვართ და პატივს სცემენ. ლიუ სიანისგან ოქროს მედალს ველით. თუმცა ძალიან ძლიერი მეტოქეები ჰყავს და სამკვდრო-სასიცოცხლო

ბრძოლა ექნება.
 — იაო მინი ნბა-ს ზეგარსკვლავეთი და მისგან და მისი თანაგუნდელებისგან ელით, რომ აშშ-ს ნაკრებს დაამარცხებენ?
 — ნებსიმეორე ჩინელი ოცნებობს, რომ კალათბურთში ამერიკელების „ოცნების გუნდი“ დაამარცხოთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ამ ეტაპზე არარეალურია.
 — მაინც რამდენ მედალს ელით?
 — ათენში 32 ოქროს მედალი ავიღეთ, მხოლოდ ამერიკელებმა გავგვასწრეს, მათ 35 ოქროს მედალი მოიპოვეს. მერე თუ არ ვცდები რუსები იყვნენ 27 თუ 28 ოქროს მედალი... კარგი იქნება, თუ ჩვენს შედეგს 50 პროცენტით გავაუმჯობესებთ, ანუ კიდევ 16 ოქროს მედალი დაგვემატება. ეს ალბათ საკმარისი იქნება, რომ ამერიკას და რუსეთს გადავასწროთ.
 — საქართველოს პრეზიდენტმა ოლიმპიურ ჩემპიონებს ერთი მილიონი ლარი დაპირდა პრემიალურის სახით. ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონები რამდენს მიიღებენ?
 — რაც ოფიციალურად ითქვა, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონები ლარებში, თქვენი პრემიალურებს მეოთხედს მიიღებენ. მაგრამ ამ თანხას დაემატება იმ ქალაქების მერიების დაწესებული პრემიალურები, სადაც ჩემპიონები ცხოვრობენ, ამასთან ცალკე ბიზნესმენებს და კომპანიებს აქვთ დაწესებული ფულადი ჯილდოები. ერთი სიტყვით, ჩვენ ოლიმპიურ ჩემპიონებს თქვენზე არანაკლები თანხა შეხვდებათ.
 — ყველაზე მეტად რომელ სახეობაში გეიმედებათ მედლების აღება?
 — მაგიდის ჩოგბურთში გვყავს ძალიან ძლიერი ნაკრები. საერთოდ მაგიდის ჩოგბურთი ჩვენში სპორტის სახალხო სახეობაა. საელჩოში მაგიდაც გვაქვს და ხანდახან მეც ვთამაშობ ხოლმე. იაფიანი სპორტია და ყველას შეუძლია, ითამაშოს. ძალიან ძლიერი გუნდია წყაღში მსტომელთა ნაკრები. ასევე დიდი იმედი მაქვს მხატვრულ ტანვარჯიშში კაცთა ნაკრების და ორივე ფრენბურთში, ტრადიციულ

და პლაჟის, სერიოზული გუნდები გვყავს. ნუ დავივიწყებთ ქალთა ფეხბურთის ნაკრებს, რომელსაც რეალურად შეუძლია ოლიმპიური ჩემპიონი გახდეს. მთავარია, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს და ოლიმპიადა უმაღლეს დონეზე ჩატარდეს.
 — ამ თემას გვერდს ვერ ავუვლით. ტიბეტთან დაკავშირებული პოლიტიკური მოვლენების გამო უკვე რამდენიმე სერიოზული ინციდენტიც მოხდა. ვფიქრობთ, რომ ეს ოლიმპიადის დროსაც განმეორდება?
 — ჩემი ინფორმაციით, ამ მხრივ უსერიოზულესი ზომებია მიღებული. სამწუხაროდ ოლიმპიადის დაწყებამდე ბევრი არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა და მათ მომწყობ


ბეჭდის კომიტეტის ფორმატიონში.
 — ჩინეთის მთავრობამ ტიბეტელთა სულიერი ლიდერი დალაი ლამა საპატიო სტუმრად დაპატიჟა...
 — დიახ, ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რომ ოლიმპიადა პოლიტიკური სკანდალების გარეშე და მაღალ დონეზე ჩატაროს. რას იზამს ტიბეტელთა სულიერი ლიდერი, არ ვიცი. ჩვენ კი კეთილი ნების ნაბიჯი გადავდგით. საერთოდ რაც ტიბეტს შეეხება, ეს ჩვენთვისაც მტკივნეული თემაა. ტიბეტი ჩინეთის ნაწილია და ეს საზოგადოებამ უნდა აღიაროს. ჩვენ არ ვეხებით და არც შევეხებით მათ ტრადიციებს და ადათებს. პირიქით ტიბეტი იმითაა საინტერესო, რომ უძველესი ცივილიზაცია და კულტურა გააჩნია და ამით არის

სწორედ ორიგინალური. ოფიციალური ჩინეთი არ არის დაინტერესებული ამ ორიგინალურობას რამე შემატოს ან მოაკლოს. ჩვენ მხოლოდ მათთვის დახმარება გვსურს. წარმოიდგინეთ, რომ ყველაზე დაბა ადგილი ტიბეტში ზღვის დონიდან 4 ათასს მეტრზეა, მონასტრები კი ზღვის დონიდან 5 ათასს მეტრზე ზევითაა. გაშენებული. როდესაც ტურისტები იქ თვითმფრინავით ადიოდნენ, მაღალი წნევის გამო, ყოფილა შემთხვევები, ტრაპზე ჩასულებს გული წასვლიათ. ჩვენ კი რკინიგზა გავიყვანეთ და ტურისტებს ლამაზი ხედების დათვალიერებასთან ერთად საშუალება აქვთ მგზავრობისას გაიარონ აკლიმატიზაცია. წარმოიდგინეთ, ზღვის დონიდან 5 ათასს მეტრ სიმაღლეზე რკინიგზა გავიყვანეთ. ეს ხომ საოცრებაა?!
 — მოდი, ისევ სპორტს დავუბრუნდეთ. თქვენ სპორტის რომელი სახეობა მოგწონთ?
 — რომელიმე კონკრეტულ სახეობას ვერ გამოვარჩევ. მე თვითონ სკოლის კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლე ხელს არ მიწყობდა, საკმაოდ კარგად ვთამაშობდი. როდესაც დიპლომატობა გადავწყვიტე და საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი ფრენბურთის თამაში დავიწყე. სამინისტროში დეპარტამენტებს შორის შიდა ჩემპიონატი მოეწყო და ჩემმა გუნდმა გაიმარჯვა.
 — ფავორიტი სპორტსმენები თუ გყავთ?
 — ახალს არაფერს გეტყვით. ჩემი ჯილბედი იაო მინი და ლიუ სიანი არიან.


ბაზო სვანიძე



ჩინეთის ელჩი ვან კაივენი მეუღლესთან ერთად და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გოგი თოფაძე



ჩინის ბუდე დრაკონების ქვეყანაში



ბერიკატის ბოლო სიტყვა

ბელნიერი კაცია ხუან ანტონიო სამარანი. ცხოვრება დიდი საქმეების კეთებაში გალია და 70 წელს ისე გადააბიჯა, რომ ზედიზედ ორი ღამე არ გაუთევია მყარ მიწაზე. თვითმფრინავში ცხოვრობდა, ქვეყნიდან ქვეყანაში დაფრინავდა და ტაშით დამხვდურებს ხუთ ფერად რგოლში ჩაწნული იდეის სილიაღეში არწმუნებდა.

ვინ მოთვლის, რამდენი ოლიმპიადა გაუხსნია და დაუხურია? აბა, ამ ესპანელმა მარკინმა უნდა დაიქანდოს, ცხოვრება ფუჭად არ გამოიფლანგავსო. ბოლოს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობისთვის შეუფერებელ ასაკში რომ შევიდა, ადგილი თავის გამოზრდილ ბელგიელ ჟაკ როგს დაუთმო. მაგრამ გგონიათ, თავად მოისვენა? ენერჯის ასეთი რა დაუშრეტელი მარაგი აქვს? ვუ დანის მთებში კარჩაკეტილ ბუდისტ ბერებზე ჯანმრთელადაც გრძნობს თავს ყოველგვარი იოგა-აუგნ ფუნქციების გარეშე.

სამარანი ახლა რა თქმა უნდა პეკინშია და იქაურებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებს. ამასწინათ პეკინის უნივერსიტეტში იყო და იქ თქვა — „შეიდი წლის წინ მე გამოვაცხადე პეკინის გამარჯვებაზე 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლის არჩევნებში და წარმატებები ვუსურვე ჩინეთის დედაქალაქს, რადგან პეკინის გამაჯვება ჩემი საქმის გამარჯვებაა.“

ერთი ვირთხა, ბევრი რპიანი და უფრო ბევრი ფული

პეკინს 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაც სურდა, მაგრამ 1993 წლის არჩევნებში სიღნეიმ აჯობა. მაშინ ჩინელებს დიდად კი დასწყდათ გული, მაგრამ მერე კმაყოფილები დარჩნენ, რადგან 2008 წელი მათთვის წარმატებული უნდა გამოვიდეს მათი პოროსკოპის მიხედვით, რადგან 8-იანს ყველაზე იბლიან ციფრად თვლიან. ამის გარდა ორგანიზატორებმა ყველა ღონე იხმარეს, ოლიმპიადა აგვისტოში, ანუ წლის მერვე თვეში რომ ჩაეტარებინათ და გახსნის ცერემონიალიც, რა გასაკვირია და 8 აგვისტოს დანიშნეს. თანაც ეს ხომ ვირთხის წელია, ვირთხა კი ჩინურ კალენდარში ახალ 12-წლიან ციკლს ხსნის და ამასთან სიმდიდრის მოხვეჭის დაუძლეველი სურვილით კვებავს ადამიანთა ისედაც ხარბ გონებას. თამაშების ბუღალტერიას კარგა ხანია გამოთვლილი აქვს, ოფიციალურად რამდენი მილიარდი დოლარი ჩაჩხრიალდება საერთო

ყულაბაში. ფულის მდინარის მარცხენა შენაკადი კიდევ ცალკე დასათვლელია.

ჩინეული სიყალბე

„მემარცხენეებზე“ ვთქვათ, ოღონდ არა პოლიტიკურზე, რამეთუ ჩინეთში სოციალისტურის გარდა ვერცერთი პარტია ვერ ჰყვავის. ყალბი ბილეთების გამყიდველებმა, არ გაგაკვირდეთ და, ჯამში დაახლოებით 50 მილიონი დოლარი დასცინცლეს ოლიმპიური ბილეთების გულუბრყვილო მძიბებლებს. ოლიმპიური სიმბოლიკით გაფორმებული კარგი დიზაინის საიტები, რომლებიც სხვათა შორის, აშშ-ში იყვნენ რეგისტრირებული, უხვად სთავაზობდნენ ბილეთებს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მრავალი ათასიც მოაღორეს. საიტები ბოლო დღეებამდე შეუფერებლად ტვირთადუნდნენ დოლარებს კლიენტთა ანგარიშებიდან მაგნითა ჯიბეებში. ტყუილად ხომ არ დაიგდეს ჩინელებმა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი გამყალბებლების სახელი, აბა, ამ ოლიმპიადისათვის აამუშავედნენ თავიანთ გაწაფულ გონებას.

თუ გაგიმართლათ და პეკინში ჩახველით, ნუ იჩქარებთ ქუჩაში ლამაზი ტელეფონის ყიდვას. ამისთვის შეიძლება პოლიციამ არ დაგიჭიროთ, მაგრამ ის ტელეფონი შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს ტელეფონი. ჩინური საქონლის ხარისხიანობის კი ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. მას უკვე კარგა ხანია აღარ შეესიტყვიერება სიტყვა „ჩინეული“. იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა რაოდენობა ხარისხიანობის გაგებაზე მალდა დადგა. ალბათ 1 321 851 888 (2007 წლის აღწერით) რიცხვის გავლელის ბრალია.

პეკინ-ბეიჯინი

პეკინი ჩინურად ნიშნავს „ჩრდილოეთის დედაქალაქს“ და ქართულად ჟღერს „ბეიჯინ“ ოღონდ ღრმა ჩინური ჩაძიებით (კედების გამყიდველთან შევამოწმე და მივხვდი, რომ ამ სიტყვის სწორად წარმოსათქმელად მრავალი წლის გულმოდგინე ვარჯიშია საჭირო). პეკინი მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული დედაქალაქია, მაგრამ ეკონომიკაში აშკარად ჩამოუვარდება ზღვისპირა შანხაის. შანხაელები ბრაზობენ, პეკინელები ჩვენი ხარჯით ატარებენ ოლიმპიადას და სახელიც და სახრავიც მაგათ დარჩებათ. საერთოდ, ორი დიდი დაქალაქის ერთმანეთში ქიშპობა ჩინეთშიც ისევე მოსული ამბავია, როგორც სხვა ქვეყნებში — როგორც ესპანეთში მადრიდი და ბარსელონა, იტალიაში რომი და მილანი, რუსეთში მოსკოვი და სანკტ პეტერბურგი, ამერიკაში ნიუ იორკი და ლოს ანჯელესი „ჭამენ“ ერთმანეთს, ასეთივე ტკბილი საზოგადო ურთიერთობა აქვთ ჩინურ ქალაქ-გოგანტებს.

შანხაის რომ დასწეოდა, პეკინში სოკოებივით ამოიზარდა მძიმე მრეწველობის ქარხნები, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობენ და 12 მილიონ მოსახლეს დაუნახებლად აფრქვევენ მომწამვლელი სამრეწველო გამონაბოლქვის ქულებს. პეკინი ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია მსოფლიოში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებით იქაურ ჰაერში დაბინძურება ხუთჯერ აღემატება უზიფათო სიცოცხლისთვის დასაშვებს. ქარხნებს მხარს უბამენ ავტომობილებიც, რომლებმაც ისედაც გამოავსეს ქა-

ლაქის ქუჩებში მათთვის გათვალისწინებული სივრცე და ოლიმპიადისავე საცობებით ეშუქრებიან. ქალაქის მმართველები ხალხს დაიხრებით ურჩევენ, დათმეთ თქვენი ავტომობილები, კომფორტი და მესაკუთრული გრძნობა და ოლიმპიურ ობიექტებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი ეწვიეთ, აგერ როგორ გავაფართოვეთ მეტროს ქსელიო.

29-ე ოლიმპიურ თამაშებზე სხვა მხრივაც შეიზღუდება თავისუფლება, განსაკუთრებით ევროატლანტიკელი სტუმრებისთვის. ჩინეთის პროპაგანდა-აგიტაცია-ცენზურის სამსახურებმა ინტერნეტში დაბლოკეს რამდენიმე „ანტიჩინური იდეოლოგიის მფრქვეველი“ ვებ-გვერდი და თუმცა რამდენიმე მათგანი, მაგალითად, ბრიტანული BBC ისევ გახსნეს, მაგრამ ბევრის განბლოკვას არაფრით დაადგა საშველი. საქმეში ჟაკ როგის ჩარევამაც ვერ მოუტანა ჩინეთის სტუმრებს თავისუფლების ჩვეული შეგრძნება, თუმცადა სოკის პრეზიდენტი იფიცებოდა, მე ჩემის მხრივ ყველა ღონე ვიხმარეო.


ორიოდ საათიც და!..

უკან დარჩა თავჩახრილი მუშაობის შეიდი წელი. ჩინელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ყოვლისმომცველი სპორტული სუპერტურიორი ლაზათიანად მოემზადებინათ და სიამაყით შეაგებეს 205 ქვეყნის (მათგან 95 ქვეყნის მეთაური ახლა პეკინშია — ბუში, პუტინი, სარკოზი და კიდევ მრავალი დიდკაცი დაესწრება დღეს გახსნის ცერემონიალს) ათეულ ათასზე მეტ სპორტსმენსა და ასეულ ათასობით მათ მომყოლ მოხელეს თუ გულშემატკივარს თავიანთი შრომის შედეგი. ულამაზესი რამაა „ჩინის ბუდე“ წოდებული 91-ათასიანი ეროვნული სტადიონი და კიდევ უფრო ფანტასტიკურია ეროვნული აკვა-ცენტრი, გარედან შუშის კუბში ჩასხმულ აქაფებულ წყალს რომ ჰგავს. ახლა მათ ყველა ქუჩის ყველა კუთხეში თავისი თვალი ჰყავთ, რათა, საწყალ ტიბეტელებს აბა რა შეუძლიათ და ჩინეთის უდაბნოვან ჩრდილოაღმოსავლეთში მცხოვრები 18 მილიონი უიგურისგან ვინმე გადარეულმა ამასწინანდელივით არ დააქუხოს ბიბი და ჩვენს საუკუნეში დამკვიდრებული ამ საშინელი ფორმით არ ამცნოს, თქვენი ქვეყნისგან განცალკევება მინდაო. ამ ხალხს რიგითმა ობიექტებმა ჩინელებმა იქნებ სეპარატისტები და ტერორისტებიც უწოდოს, მაგრამ დიდ ჩინურ კედელზე უფრო დიდი წითელი კედლის იქიდან ეს ხალხები თავისუფლების მოყვარებდად ჩანან.

რამდენიმე საათიც და „ჩინის ბუდე“ ოლიმპიურ ცეცხლს წაუკიდებენ, გახსნის ცერემონია, რომელიც ალბათ დიდებული სანახაობა იქნება, 2 საათზე იწყება. ზვალისგან კი ოთხწლეულის უდიდესი სპორტული შეჯიბრი გახურდება.

ირაკლი ფიჩაშვილი

პეკინის საცურაო აუზი



ოლიმპიური ამაზ-ხაბარი

ეროვნული ზინჯირი

280 მილიარდი იუანი, ანუ 40 მილიარდი დოლარი — ამდენი დაჯდა პეკინის ოლიმპიადისთვის მომზადება ანუ სწორედ ამდენი ჩაიღო 2001 წლიდან 2008 წლამდე ჩინეთის დედაქალაქში საოლიმპიადო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

საერთო ბიუჯეტმა კი 44 მილიარდი დოლარი შეადგინა, რადგანაც მასში ასევე შედის ოლიმპიადის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ოპერაციები და მას-მედიისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ცენტრების მომზადებაზე გაწეული დანახარჯები.



ცნობილი გახდა ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის რამდენიმე წვრილმანი. ერთ-ერთი ვერსიით ოლიმპიურ ცეცხლს კალათბურთული ათ მინი ანთებს, ცოტა ხნის წინ სიჩუანის პროვინციაში მომხდარ მიწისძვრას გადარჩენილ ბავშვთან ერთად.

არსებობდა ვერსიაც, რომლის თანახმადაც სტადიონზე ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი ანაც ფენიქსი უნდა დაშვებულიყო, რომელიც ანთებდა კიდეც ამ ცეცხლს.

გახსნის ცერემონიალს კი გრანდიოზული ფეიერვერკი დაავიერგვინებს, რომელიც სტადიონის თავზე ყვითელ დრაკონს გამოსახავს. ცნობისთვის, ფეიერვერკს პეკინს შემოგარენიდან, 1800 სხვადასხვა ადგილიდან აუშვებენ ცაში.



ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად კარგად მოითბეს ხელი თაღლითებმაც, რომლებიც უკვე არც მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებას ერიდებიან. ბოლო მონაცემებით ინტერნეტ-თაღლითებმა უკვე 50 მილიონ დოლარამდე იშოვეს. ცნობისთვის, ზოგიერთმა მყიდველმა ბილეთებში 60 000 დოლარამდე გადაიხადა, მაგრამ საბოლოოდ მშრალზე დარჩა.



ახალგაზრდა ამერიკელი სპრინტერი უოლტერ დიკსი აცხადებს, რომ 100 და 200 მეტრებზე მსოფლიოს ჩემპიონ იამაიკელ უსეინ ბოლტთან პეკინში ნამდვილი საკრივო ჯახი ექნება:

„არ მეშინია ბოლტის. რა თქმა უნდა, ის მსოფლიოს რეკორდსმენია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ოლიმპიადაზე აუცილებლად მოიგებს. მასთან რვა რაუნდიანი საკრივო

ბრძოლა მექნება — 4-4-ჯერ გავირბენთ თითოეულ დისტანციაზე. არ არის საკრივო ჯახი თუ რა?“



პეკინში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მოვალეობაც არაკანონიერი ტრანსლაციების მონიტორინგი იქნება. ამით ჩინელები ცდილობენ იმ ტელე-კომპანიების ინტერესები დაიცვან, რომლებმაც ოლიმპიური თამაშების ჩვენების უფლება ცივილური ხერხებით მოიპოვეს.



კომპანიის წარმომადგენელმა, რომელიც ოლიმპიადის სტუმრებს უნდა მოემსახუროს, განაცხადა, რომ მენიუში ხორცის, ბოსტნეულისა და ხილის კერძების მრავალფეროვანი სახეობები შევა. მათ შორის სპორტსმენებისა და ოფიციალური პირებისთვის 930 000 ბანანი იქნება საჭირო, რომლებსაც ერთ ხაზად თუ შეაერთებთ, სამი მარათონული დისტანცია გამოვა.

მასპინძელთა განცხადებით ასეთი მდიდარი მენიუ არც ერთ წინა ოლიმპიადაზე არ ყოფილა. სწორედ ამიტომ ამ კომპანიამ უკვე დაიქირავა 230 მზარეული, რომლებსაც 6700 ჩინელი სტუდენტი დაეხმარება.



აზიაში წლის ამ პერიოდში მუსონების დროა, რაც იმავე ნიშნავს, რომ წვიმამ შეიძლება გვარაიანად არიოს შეჯიბრებათა გრაფიკი. თუმცა ჩინელი მეცნიერები უკვე მუშაობენ ამაზე და ცდილობენ ეს პრობლემა თავიდან აიცილონ. თურმე პეკინის მეტეოროლოგიურ სამსახურისთვის არახალია გვალვის პერიოდში წვიმის ხელოვნურად გამოწვევა. ახლა კი სინოპტიკოსებს ყველაფრის პირიქით გაკეთება მოუწევთ. „ჯერ ზუსტად არ არის ცნობილი, წვიმები იქნება თუ არა, მაგრამ თუ ამაში დაერწმუნდით, მაშინ ექსპერიმენტული ტექნოლოგიის გამოყენება მოგვიწევს, რომლის მიზანიც ნალექების თავიდან აცილებაა“ — განაცხადა პეკინის მეტეოროლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა.



პეკინის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე სამხრეთ კორეისა და ჩრდილოეთ კორეის დელეგაციები ერთ კოლონად აღარ გამოვლენ, როგორც ეს სიდნეისა და ათენში მოხდა. ამის მიზეზად თებერვალში სეულში ხელისუფლებაში მოსული ლი მინ ბეკის კონსერვატორული მთავრობა

სახელდება, რომელმაც შეაჩერა თავისი წინამორბედების მიერ ჩრდილოელ თანამემამულეებთან მიღწეული შეთანხმება. ქვეყნების დაახლოებას არც ახლახანს მათ საზღვარზე მომხდარი ინციდენტი უწყობს ხელს, როცა ჩრდილო კორეელმა მესაზღვრემ აკრძალულ ზონაში შემთხვევით მოხვედრილი სამხრეთ კორეელი ტურისტი მოკლა.



როჯერ ფედერერი ოლიმპიური სოფელში მოულოდნელ პრობლემას წააწყდა — მისი იქ გამოჩენა ნამდვილ ზეიმად იქცა და ისეთი აურზაური ატყდა, რომ დიადმა ალბელმა სოფელში დარჩენაზე უარი თქვა, ასეთ ატმოსფეროში მომზადება შეუძლებელი არისო.

„სოფელში იმდენი სპორტსმენი დამესია, რომლებიც ავტოგრაფს მთხოვდნენ ანაც ჩემთან გასაუბრება სურდათ, რომ ერთი ამბავი ატყდა. ასეთ პირობებში კი შეუძლებელია მატჩებისთვის ხეივანიდან მომზადება. სწორედ ამიტომ სოფელში გაჩერებას არ ვაპირებ — მერე აუცილებლად შევივლი და შვეიცარიულ სპორტსმენებს ვნახავ, მაგრამ ახლა წყნარი გარემო მჭირდება“ — განაცხადა ალბელმა.

ცნობისთვის, თავის პირველ შეხვედრას ოლიმპიადაზე ფედერერი რუსი დმიტრი ტურსუნოვის წინააღმდეგ გამართავს.

კასა ლომაფილი



როჯერ ფედერერი

ქვეყნები და მონაწილეები

Table with 4 columns listing countries and their number of participants for the 2008 Olympics. Countries include Australia (433), USA (596), China (56), etc.

სარბიელი საორტული გაჯეთი. გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან. გამომცემი: ორგანიზაცია, სამსახურის, სახელობის, სახელობის, პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე. ლიტერატორი ბიორგი ოქროშაძე. მთავარი რედაქტორი ბიორგი ლარჯანიანი. მთავარი რედაქტორის მოადგილე პასა შალვაშვილი. ტექნიკური რედაქტორი ზვიად მონიაშვილი. ქართული ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ლილა ნანობაშვილი, მიხეილ კორეილიანი. უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი შინაჩხალაშვილი. უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიორგი ახვლედიანი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29. ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge. ელექტრონული ვერსია: http://www.sarbieli.com.ge